საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

31/01/2025

MES 8 25 0000092041

გადაწყვეტილება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ემუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის№65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 28 მაისს შემოვიდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის №215-01 (ცენტრში რეგისტრაციის - №594698, 29/05/2024) წერილი, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების” საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 03 ივლისის №801270 ბრძანების საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 08 სექტემბერს №1080514 ბრძანებით (ცვლილება ბრძანებაში: N1228802 28/09/2024) შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების” საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით 2024 წლის 9, 10, 11 და 12 ოქტომბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	**x**			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		x		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2025 წლის 17 იანვარს** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, აკრედიტაციის საბჭომ 1.2. კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია. შესაბამისად, 1.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; საბჭომ 1.3 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია. აქედან გამომდინარე, 1.3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; საბჭომ 1.4 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია (რეკომენდებულია, გასწორდეს მინიჭებულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული შეცდომა - საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი (თვითშეფასების ანგარიშის, როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან ვერსიაში) ამოიღო და დაამატა რეკომენდაცია - ყველა პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები; საბჭომ 1.4. კომპონენტში ინდივიდუალურად გაცემული 1.4.1; 1.4.2 და 1.4.3 რეკომენდაციები ამოიღო; საბჭომ 1.5. კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია. შესაბამისად, 1.5 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; საბჭომ 2.2 კომპონენტში კლასტერულად გაცემული რჩევა გადაიტანა რეკომენდაციაში. აღნიშნული შეფასებიდან, 2.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; საბჭომ 3.1 კომპონენტში შემუშავებული კლასტერული რჩევა გადაიტანა რეკომენდაციაში. აღნიშნული შეფასებიდან, 3.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 17 იანვრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების” საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 31 იანვრის №91535 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევებ ი:

კლასტერის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.2

სწავლის შედეგების მიღწევადობისა და გაზომვადობის მიზნით რეკომენდებულია, სწავლის შედეგების დახვეწა

კომპონენტი 1.3.

გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით. განისაზღვროს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის შეფასების ის კომპონენტ(ებ)ი/მეთოდ(ებ)ი, რომლითაც ხდება ამ კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება/შეფასება.

კომპონენტი 1.4.

ყველა პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები;

რეკომენდებულია, ქართულენოვანი პროგრამების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში გათვალისწინებული იყოს უახლესი ქართულენოვანი წყაროები;

კომპონენტი 1.5.
გადაიხედოს და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის წინაპირობები;

კომპონენტი 2.2.
რეკომენდებულია, ორგანიზაციებთან გაფორმებულ ყველა მემორანდუმში და ხელშეკრულებაში
მიეთითოს სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებასაც შეძლებენ აღნიშნული ორგანიზაციები.

კომპონენტი 4.1.
რეკომენდებულია, პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

კლასტერული რჩევები:
კომპონენტი 3.1.
სასურველია ბიზნესის სკოლამ გააძლიეროს ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტებს ეფექტურად მიაწოდოს ინფორმაცია გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უპირატესობების შესახებ.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 17 იანვარს.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 17 იანვრამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი Business Administration -Marketing
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში/ Bachelor of Business Administration(BBA) in Marketin
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0414 მარკეტინგი და რეკლამა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13-ე კმ, #2, 0159
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	17.01.2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	17.01.2026
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	17.01.2032